

PROFILES IBSE სასწავლო მასალები – მიმოხილვა

შეადგინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PROFILES-ის გუნდმა – საქართველო



ხომ არ გავიწყდებათ
კბილების გახეხვა?
ყოველთვის ერთსა და
იმავე კბილის პასტას
იყენებთ?

ბუნებისმეტყველების მოდული –

ბიოლოგია

VIII, IX–X კლასებისთვის

შემუშავებულია: ლინდის, ნილსონის და კენედის მიერ, 2009.

ორგანიზაცია: International Council of Associations for Science Education (ICASE), დიდი ბრიტანეთი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძის, ეკა სლოვინსკისა და PROFILES-ის მონაწილე პედაგოგების მიერ (2013).

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა: profiles.georgia@gmail.com

მოკლე აღწერა

პირის ღრუს ჰიგიენა ჯანმრთელობის საწინდარია. აღნიშნული თემა კავშირშია ყოველდღიურ ცხოვრებასთან და მოსწავლეებს უღვივებს ახლის ძიების ინტერესს. მათ უნდა გაათვითცნობიერონ, რა შეიძლება მოჰყვეს კბილების მოუვლელობას და ჰიგიენის წესების უგულველყოფას. ასევე, მოსწავლეები იმსჯელებენ საზოგადოებაში კბილის პასტებთან მიმართებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებზე, კარიესის თავიდან აცილების საუკეთესო გზების ძიებასა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობაზე. მოდულის განხორციელებაში ჩართული მოსწავლეები განივითარებენ კვლევის უნარებს.

კურიკულუმთან შესაბამისობა: კარიესის გამომწვევი მიზეზები და მისი თავიდან აცილების გზები. კბილის პასტები, მათი მოქმედების ეფექტურობა.

აქტივობების სახეობა: ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან დაკავშირებული საჭიროებიდან გამომდინარე პრობლემის გადაჭრა; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიება, რელევანტური ინფორმაციის წყაროების შერჩევა, მონაცემების ანალიზი; ჯგუფებში მუშაობა და აზრთა გაცვლა, სწავლა თანამშრომლობით; ექსპერიმენტის მიზნის განსაზღვრა და გეგმის განხორციელება, ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი, დასკვნების გამოტანა; ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება; პრეზენტაციის მომზადება; დისკუსიებში მონაწილეობა.

სავარაუდო დრო: 5/6 გაკვეთილი

ზოგადი მიზნები/ კომპეტენციები:

ა. ინფორმაციის მოძიება კბილის აგებულების, კბილის მინანქრის შემადგენლობის და კარიესის გამომწვევი მიზეზების შესახებ;

ბ. ექსპერიმენტების/ცდების დაგეგმვა და განხორციელება:

- ექსპერიმენტების ჩატარება იმ საკვებ პროდუქტებზე, რომლებიც შესაძლოა აზიანებდეს კბილის მინანქარს;
- კბილის პასტის, მისი შემადგენელი ინგრედიენტებისა და მათი კბილზე ზემოქმედების შესასწავლად ;
- დაკვირვება, მონაცემთა აღრიცხვა, ანალიზი;

გ. პრეზენტაცია - წერილობითი ანგარიშის მომზადება მოძიებული მასალის და ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით;

დ. საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის მიღება კბილის კარიესის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და აღმოფხვრის გზების ძიების შესახებ;

ე. არსებული ექსპერიმენტის შედეგების ინტეგრირებას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

თანდართული ფაილები		
1.	მოსწავლეთა აქტივობები	სცენარი დეტალურად აღწერს აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ. ეს არის მოსწავლეებისთვის მისაცემი სამუშაო ინსტრუქციები.
2.	მასწავლებლის გზამკვლევი	აღწერს სწავლების მიდგომებს.

წყაროები:

გამოყენებულია ევროკავშირის მე-6 ჩარჩო პროგრამის ფარგლებში (SIXTH FRAMEWORK PROGRAMME SCIENCE AND SOCIETY PRIORITY . Science education and careers 2005 COORDINATION ACTION Contract no 042922) დაფინანსებულ პროექტის PARSEL – ის ვებ გვერდზე (<http://www.parsel.uni-kiel.de/cms/index.php?id=modules>) განთავსებული მასალები. კერძოდ, ტარტუს უნივერსიტეტის მოდული „Preventing Holes in Teeth – are beliefs justified?“